ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 247

“ 1 ” ოქტომბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, მე-3 მასივში, I კვარტლის კორპუსი „დ“-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.20.029.008.01.506) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას “ქალაქ თბილისში, მე-3 მასივში, I კვარტლის კორპუს „დ“-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.20.029.008.01.506) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 9 სექტემბრის №20.1025.1272 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, მე-3 მასივში, I კვარტლის კორპუსი „დ“-ში, პირველ სართულზე მდებარე 41.15 კვ.მ ფართი (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: №01.19.20.029.008.01.506) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე მოქალაქე ელისო ჯოლოხავასთვის (პ/ნ: 01001048225) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე